# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის” დამატება
№5, 31 აგვისტო, ორშაბათი, 2020 წელი


**„ქართულ-ოსური კონფლიქტის” ქრონიკები**

(ნაწყვეტი წიგნიდან ,,ნაჭდეურები”)

ზეგული ციშელაშვილი

კონფლიქტები, სამწუხაროდ, დროში გაწელილი პროცესია, რომელიც ახასიათებდა უძველეს საზოგადოებას და ახასიათებს უახლეს ისტორიასაც. იგი, თავდაპირველად, ფარულად არსებობს, შემდეგ ღია სტადიაში გადადის, მწვავდება. კონფლიქტის არსის ჩაწვდომა ძალზე რთულია, ამიტომ უნდა ვეძიოთ არა მისი საბაბი, არამედ ძირეული მიზეზები.

ქართველ და ოს ხალხს შორის არ არსებობდა შიდა კონფლიქტის გამომწვევი არავითარი მიზეზი: არც ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და არც სხვა სახის. მაშ, რამ გამოიწვია დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის? ამ ხალხებს ხომ ნათესაობა და ნათლი-მირონობა აკავშირებდა... ამ, და სხვა დანარჩენ, კითხვებს ნათელს მოჰფენს ამონარიდი გაზეთიდან ,,მარჯი”, რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა:

,,1988-89 წლებში სამაჩაბლოში სიტუაცია დაიძაბა. ,,ადამონ ნიხასის” წევრებმა, მისმა აქტივისტებმა მოაწყვეს რამდენიმე სეპარატისტული მიტინგი ცხინვალში... მათთან დიალოგი უშედეგო იყო, იგრძნობოდა, რომ სეპარატისტულ მოძრაობას აფინანსებდა იმპერიის ცენტრი.”

ვიდრე იმის თხრობას დავიწყებდე, თუ როგორ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება ჩვენ, სამაჩაბლოელ ქართველებს მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, მანამდე გავიხსენოთ, თუ რას წერდა ვახუშტი ბატონიშვილი ცხინვალის (სამაჩაბლოს) შესახებ:

**,,ლიახვის კიდეზე არს მცირე ქალაქი ცხინვალი, სადაც ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქართველნი, სომეხნი და ურიანი... ადგილი მშვენიერ, ბაღოვან-ვენახოვანი, წყალ-შემრგო, კეთილჰაეროვანი.”**

ამ მშვენიერ ტერიტორიაზე, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებს, მე-19 საუკუნის დასასრულამდე (1886წ.) არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ (რუსული იმპერიის ,,პირმშო!!!”), ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა.

**სამაჩაბლოს რა სჭირს თქვენი დასაცინი?!**

ზნაურიდან ჩემს სოფელში – ავნევში ავტობუსით ვბრუნდებოდი. საკმაოდ ბევრი მგზავრი იყო ავტობუსში. ჩემი ყურადღება თავხედურმა სიცილმა მიიქცია. მივაყურადე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ავტობუსის უკანა სკამებზე მსხდომი ყმაწვილები (ეთნიკური ოსები) ჩაბჟირებამდე იცინოდნენ, ოსურად საუბრობდნენ ხმამაღლა. ხშირად იმეორებდნენ სიტყვას ,,სამაჩაბლო”. გაუთავებელი თავხედობა რომ არ შეწყვიტეს, უკმაყოფილო იერით მათკენ დავიწყე ცქერა. ვიფიქრე, იქნებ მიხვდნენ და შეწყვიტონ უტაქტო საქციელი-მეთქი. ისინი კვლავ სიცილს განაგრძობდნენ. ბოლოს, საკმაოდ მოზომილი ტონით მივმართე ახალგაზრდებს:

– ყმაწვილებო, რს ხდება, სამაჩაბლოს რა სჭირს თქვენი დასაცინი?!

პასუხი კი დამიბრუნეს, მაგრამ ვერ გავიგე, რადგან თავიანთ ენაზე ისურვეს ჩემთვის ეპასუხათ. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ქართული შესანიშნავად იცოდნენ.

ჩემთან ერთად მგზავრობდა ჩემი მეზობელი, ეთნიკურად ოსი ეროვნების ქალი, ქართველი ქმარ-შვილის პატრონი. ...ჩემს თანამგზავრ ქალს სახეზე დაძაბულობას ვამჩნევ... მოვედით გაჩერებამდე, გადმოვედით ავტობუსიდან და გზა ფეხით გავაგრძელეთ.

– როგორ შემეშინდა, რომ იცოდე, – მეუბნება მეზობელი. – ავტობუსში მსხდომ ბიჭებს თვალში არ მოუვიდათ შენი ,,ზნაჩოკი” და შენი მისამართით თქვეს: ის ქალი ფანჯრიდან უნდა ისროლოს კაცმაო. შენ ვერაფერს იგებდი მათი საუბრიდან, მე კი მაგრად შემეშინდა.

ეს სამკერდე ნიშანი, ჩემი მეზობელი რომ გულისხმობდა, საქართველოს სამფეროვანი დროშის გამოსახულება იყო და ჩემთვის მისი ტარება დიდი პატივი გახლდათ... ამ სამკერდეთი გადავსულვარ ცხინვალში, მის ახლო-მახლო სოფლებში. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, სარისკო საქმე იყო მაშინ. რაც შეეხება ტერმინს ,,სამაჩაბლო,” სწორედ ასე მოიხსენიებდა ქართული პრესა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რაც ოსებში მძაფრ რეაქციას იწვევდა. სწორედ ამით ავხსენი იმ ახალგაზრდების მაშინდელი საქციელი.

ჩემმა თანამგზავრმა ოსმა ქალბატონმა რჩევა მომცა: მაგ ნიშნით ჩვენი სოფლის იქით ნუ წახვალ, ახალგაზრდა ქალი ხარ, ქმარ-შვილის პატრონი, თავს ხიფათში ნუ ჩაიგდებ. მაგათ ჭკუა არ დაუშლით... ყველაფერზე წამსვლელნი არიანო.

**ინციდენტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს**

ავნევში ხმა გავარდა: ცხინვალში სტუდენტები ჩამოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მიტინგი უნდა ჩატარდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავადო.

ჩვენი სოფლის ავტობუსით ცხინვალისკენ გავემგზავრეთ დაახლოებით – 20-25 ადამიანი. ძირითადად, ახალგაზრდები და სოფლის ინტელიგენცია.

მიგვქონდა საქართველოს დროშები (მაშინ სამფეროვანი), ასევე, რამდენიმე პლაკატი. ერთ-ერთი პლაკატის შინაარსი ახლაც მახსოვს – ,,საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!”

ჩვენი სოფლიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში, კერძოდ, სოფელ წუნარში (ახლანდელი ხეთაგუროვი) წინ გადაგვეღობნენ კეტებითა და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების იარაღებით (მახსოვს, ერთს დიდი ძვალიც ეჭირა ხელში!) შეიარაღებული ოსები. რამდენიმეს ეტყობოდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

გადაგვიღობეს გზა და მოგვთხოვეს უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოცხალი, ვერცერთი ვერ ჩავაღწევდით ცხინვალამდე. მოთხოვნას თან მოაყოლეს ლანძღვა-გინება, უწმაწურ, შეურაცხმყოფელ სიტყვათა კორიანტელი.

ყველა ჩვენგანი ვცდილობდით, სიმშვიდე შეგვენარჩუნებინა. ვცდილობდით, აგვეხსნა მათთვის, რომ ჩვენ მათ საზიანოდ არ ვიქცეოდით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნა საქართველოს მთავრობის მიერ იყო ნებადართული და, არც ეს პლაკატები არ წარმოადგენდა მათთვის საზიანოს, რომ ძლიერი და ერთიანი საქართველო მათთვისაც უკეთესი ცხოვრების საწინდარი იქნებოდა.

არაფერმა რომ არ გაჭრა, მაშინ ასეთი რამ მოვიფიქრეთ:

– დავრეკოთ ზნაურში, გავაგებინოთ რაიკომს შექმნილი სიტუაცია, ვთხოვოთ, გამოგზავნონ წარმომადგენლები და, მათი თანდასწრებით, როგორც აჯობებს, ისე მოვიქცეთ. – შევთავაზეთ მათ.

ეს აზრი, როგორც გაირკვა, ჭკუაში დაუჯდათ. მალე ზნაურიდან მოვიდა წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, ეთნიკურად ოსი. სიმართლე რომ ვთქვა, იმ პიროვნებამ (რაიკომიდან მოვლენილმა) არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება...

ეტყობოდა, რომ აღშოთებული იყო შექმნილი სიტუაციით და მტკივნეულადაც განიცდიდა სინამდვილეს. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი ადგილობრივებზე, რომლებმაც ხელისუფლების წარმომადგენლის თანდასწრებითაც გააგრძელეს ჩვენი მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები.

რაიკომიდან მოვლენილი პირი დიდხანს, დაჟინებით უხსნიდა მათ რაღაცას. შემდეგ ჩვენთან მოვიდა და გვირჩია:

– საქმე ძალზე რთულადაა... მოსალოდნელია ექსცესები, პროვოკაცია და შეიძლება, უფრო უარესიც... ვცდილობდი, ყველაფერი ამეხსნა მათთვის, მაგრამ... უკან დაბრუნებას გირჩევთ, ისევ თქვენს სასარგებლოდ, თქვენივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

რა უნდა გვექნა?! მით უფრო, რომ ავტობუსში რამდენიმე უფროსკლასელი მოსწავლეც იმყოფებოდა...

წამოვედით გულდამძიმებულები, შეურაცხყოფილები და პატივაყრილები.შენს ძირძველ ტერიტორიაზე გადაადგილებაც არ შეგიძლია!!!

ამ ინციდენტის (რბილად რომ ვთქვათ) გამო თბილისიდან მოავლინეს სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა მომხდარის საფუძვლიანი შესწავლა-გამოძიება. კომისიის თავმჯდომარედ ნეიტრალური ეროვნების (სომეხი) წარმომადგენელი შეარჩიეს და გამოგზავნეს ცენტრალური კომიტეტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ წერილობითი ჩვენებები ჩამოგვართვა ყველას, ვინც იმ დღეს ცხინვალის მიმართულებით ვაპირებდით გადაადგილებას და ინტელიგენციასა და ადგილობრივ მთავრობას ასეთი მითითება მისცა: ორივე სოფლის წარმომადგენლებს თავი მოგვეყარა ავნევში, ჩვენს სოფელში და ჩაგვეტარებინა სოფლის ყრილობა. ასეც მოხდა.

ყრილობას ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ასევე, ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ცხინვალის უნივერსიტეტის ლექტორები.

რაც შეეხება წუნარელებს, ,,მთავარ" პერსონაჟებს ამ ინცინდენტისას, მხოლოდ ერთი თუ ორი კაცი გამოგზავნეს და არც იმათ გამოუჩენიათ თავი რაიმე ღირებულის თქმით.

ამ მიტინგს თბილისიდან ესწრებოდა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელიც, იყვნენ რადიოსა და პრესის კორესპონდენტებიც. მე დამევალა მესაუბრა ქართველებისა და ოსების ნათესაური და კულტურული ურთიერთობის შესახებ. რა თქმა უნდა, მომხდარი ინცინდენტის დაგმობის ფონზე უნდა მომხდარიყო ყოველივე...

ყრილობა ორ საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. იყო გამოსვლები, კამათი, მომხდარის დაგმობა, აღარ განმეორების დიდი სურვილი, ორივე მხრიდან...

თავყრილობა ადგილობრივი რადიოთი გადაიცა, გააშუქეს ადგილობრივმა გაზეთებმა (,,საკოლმეურნეო ცხოვრება" და ,,საბჭოთა ოსეთი").

სტატია გამოაქვეყნა, აგრეთვე, გაზეთმა ,,კომუნისტმა". რაც შეეხება ჩემს გამოსვლას ამ ყრილობაზე, შევეცადე, ობიექტური ვყოფილიყავი. ვუსურვე ჩემს თავსაც და სხვებსაც, მსგავსი არაფერი განმეორებულიყო ამ ორ ერს შორის, რადგან მსოფლიოს ისტორიაში არ არის სხვა ხალხების ურთიერთობა, რომელთაც ასე ბევრი რამ, მათ შორის ნათესაური კავშირები ჰქონდეთ ერთმანეთთან. ქართველებს და ოსებს შორის ძველი დროიდან არსებობდა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა, დინასტიური – სამეფო ოჯახური კავშირები, უამრავი შერეული ოჯახი. ქართველებსა და ოსებს ხომ ერთად გვიბრძოლია საერთო მტრის წინააღმდეგ...

ჩემი გამოსვლა მთლიანად იქნა ჩაწერილი და ორი კვირის განმავლობაში გადაიცემოდა ადგილობრივი რადიოთი.

### საქართველოს პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია და სამაჩაბლო

,,გარდაქმნის" შემდგომი პერიოდი იყო. თბილისში ხშირად ტარდებოდა მიტინგები. რამდენჯერმე დავსწრებივარ ამ მიტინგებს და ზვიად გამსახურდიაც ახლოს მინახავს. იგი რამდენჯერმე იყო ჩვენს სოფელში – ავნევში ჩამოსული, თბილისში კი პირველად გავესაუბრე, მიტინგის დროს, სადაც მოგვიანებით მივედი.

ნაცნობი შევნიშნე და იქითკენ ავიღე გეზი. უცბად, მესმის ბატონი ზვიადის ხმა: სამაჩაბლოდან ვინ ჩამოვიდა ბოლო დროსო? ჩემზე მიუთითეს. ბატონი ზვიადი მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა, რა ხდება სამაჩაბლოშიო? ვუთხარი, რომ მისი წამოსვლის შემდეგ ახალი და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ის იყო, რომ ოსები ახალ წელს მოსკოვის დროით შეხვდნენ-მეთქი.

– ეგ მოსალოდნელიც იყო მათგან, – თქვა წყნარად და დინჯად, ნელი სვლით ხალხს შეერია. მახსოვს, ღია ფერის ქურთუკი ეცვა. მაღალი, ჭაღარა, სიმპათიური, გამორჩეული იერისა და ფერის მქონე, თავისი სახელის სრული განსახიერება იყო.

ავნევში ზვიად გამსახურდიას მიერ ჩატარებულ სახელდახელო მიტინგებს ქართველებიც ესწრებოდნენ და ოსებიც. ოსები – უფრო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ეტყობოდათ, რომ მისი სიტყვები გულზე დიდად არ ეხატებოდათ. ერთ-ერთმა, მისი მისამართით ჩაილაპარაკა: რა უნდა, რატომ მოვიდა, ყველაფერი უნდა აურ-დაურიოსო?!

– თავისი ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში როცა უნდა, მაშინ ჩავა და რაც სწორად მიაჩნია, იმას იტყვის-მეთქი, – ვუპასუხე.

ზვიად გამსახურდია უზომოდ შეყვარებული რომ იყო თავის ქვეყანაზე და ერზე, ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება. რაც შეეხება შეცდომებს, ყველა მოკვდავს შეიძლება მოუვიდეს, მითუმეტეს იმას, ვინც დიდ და რთულ საქმეს არის შეჭიდებული.

### 2008 წლის ომი – რუსეთის მიერ საქართველოს მეორედ ანექსიის მცდელობა

1991 წლიდან, იმ დროიდან, როცა კონფლიქტი ღია ფაზაში შევიდა და გაღრმავდა, საქართველოში 300 ათასამდე დევნილი იყო საკუთარ მიწა-წყალზე, რასაც 2008 წლის აგვისტოში ათობით ათასი დაემატა... რუსეთმა მეორედ მოინდომა საქართველოს ანექსია. რაც ყველაზე სამწუხარო და აღმაშფოთებელია, რუსეთმა დაბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა, რომ არაფერი ვთქვათ ქალაქებზე, სოფლებზე და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ დაგვატეხეს თავს, რომ ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთადერთი საგანი იყო, არის და იქნება პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თავისუფლება.

სამწუხარო სინამდვილეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონფლიქტმა ორივე მხრიდან შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. რუსი აგრესორები კი, პირიქით, გვედავებიან. საბედნიეროდ, დღეს 21-ე საუკუნეა. მსოფლიო გამოფხიზლდა. სწორედ ამის შედეგია, რომ უმრავლეს სახელმწიფოთა მთავრობები მთელი სისასტიკით გმობენ რუსების მიერ განხორციელებულ ინტერვენციას საქართველოს წინააღმდეგ და არ აღიარებენ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რადგან ერთიც და მეორეც ყოველთვის იყო საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი.

იყო დრო, როცა საზოგადოება კონფლიქტების გადასაჭრელად მხოლოდ ძალადობას მიმართავდა. ახლა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტის გადაჭრა ხალხის სასიკეთოდ, არა ძალისმიერი დაპირისპირებით, არამედ, მშვიდობიანი გზით. ეს გზა მოლაპარაკება, ურთიერთშეთანხმება და ორმხრივი, გონივრული დათმობებია (რა თქმა უნდა, არა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ). ზოგადად, კომპრომისი დიპლომატიის მთავარი ძალაა. სახალხო დიპლომატია უნდა გახდეს ხელშემწყობი ფაქტორი სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებისას. სასურველია, მიღებულ გადაწყვეტილებას სამართლებრივი გარანტიების მტკიცე, სრული დაცვის პირობებიც თუ ექნება.

ქართველებსა და ოსებს ბევრჯერ უბრძოლიათ საერთო მტრის წინააღმდეგ, თუმცა, ოსებს არ უნდათ ამის აღიარება. ახლაც საერთო მტერი ჰყავთ და თუ ვინ? – ამას დიდი მიხვედრილობა არ უნდა. აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება რუსეთს საქართველოს დასაჩოქებლად სჭირდება. გამომდინარე თავისი აგრესიული ბუნებიდან, ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთს ოსების ან აფხაზების ბედ-იღბალი ადარდებდეს.

ოსი და ქართველი ერის ისტორია იწერებოდა და ახლაც უნდა დაიწეროს, მაგრამ მხოლოდ ობიექტური ფაქტებისა და არგუმენტების გამოყენებით. არაობიექტურად დაწერილი ისტორიის სწავლება სკოლებში კვლავ ახალ კონფლიქტს გამოიწვევს.

ყალბი ისტორიის შედგენა და სწავლება დანაშაულის ტოლფასია. ამ დანაშაულზე წაყრუება კი უფრო დიდ დანაშაულად მიმაჩნია.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ორივე რეგიონის დევნილების სადღეისო მდგომარეობა... მოგვწყვიტეს იმას, რაც ასე გვიყვარდა. ახლა ჩვენს კერაზე გადამთიელი ბოგინობს! ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ჩვენი იქ დაბრუნების იმედის გარეშე!..

### ,,ოკეანეში ჩაკარგული პატარა მდინარე"

საქართველოს ეროვნული ინტერესები, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა ითვალისწინებს ტერიტორიული მთლიანობისა და სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენასა და გარანტიებს იმისას, რომ ორივე ერის წარმომადგენლები, როგორც ქართველები, ასევე, ოსებიც ღირსეულად იცხოვრებენ საერთო სამკვიდროში, ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილში – სამაჩაბლოში, შიდა ქართლში.

ქართველთა და ოსთა შორის საგანგებოდ ჩანერგილი შუღლის მოსაგვარებლად, რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად გასათვალისწინებელია ტერიტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები. აგრეთვე, სამართლებრივი და, უპირველესად, კულტურული ურთიერთობები. საბედნიეროდ, ოსი ინტელიგენციის წიაღში არიან საღად მოაზროვნეებიც, რომლებიც ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას ცდილობენ და დიდი სურვილიც აქვთ, დაძლეულ იქნას უნდობლობისა და გაუცხოების ფაქტორი.

ამის მაგალითია ომამდე, (2008 წ. 8 აგვისტო) რამდენიმე წლით ადრე, სოფელ ავნევში განხორციელებული პროექტი, რომლის ავტორი ზაირა მარანელი გახლდათ. ქართულ სოფელში აღვნიშნეთ ოსი ხალხის საამაყო შვილის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების ერთ-ერთი წლისთავი. ცხინვალიდან მოვიწვიეთ კოსტა ხეთაგუროვის ფონდის ხელმძღვანელი ქალბატონი ი. თადტაევა, რამდენიმე ეთნიკურად ოსი წარმომავლობის ქალბატონთან ერთად. ყველა მათგანი შესანიშნავად საუბრობდა ქართულად და, რაც მთავარია, ზედმიწევნით იცნობდა ქართულ კულტურას.

მასპინძლის როლში ვიყავით ქართველები. ყველას ჩვენი აზრი უნდა გამოგვეთქვა ზოგადად, შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ამის შემდეგ უნდა შევხებოდით უშუალო თემას: კოსტა ხეთაგუროვის ბიოგრაფია, შემოქმედება, ურთიერთობა ქართულ ინტელიგენციასთან.

განსაკუთრებით ვრცლად ვისაუბრეთ კინოფილმ ,,ფატიმას" შესახებ, რომელიც კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული, სადაც ქართველი მსახიობების გარდა, ოსი მსახიობი თამარ კოკოვა მონაწილეობს, რომელმაც ტრაგიკული ბედის მქონე ქალის შესანიშნავი სახე შექმნა ფილმში.

კეთილი განწყობა საღამოს მეორე განყოფილების დროს კიდევ უფრო გაღრმავდა ქართულ-ოსური კერძებით დამშვენებულ სუფრასთან. ცხინვალიდან მოწვეული სტუმრები კარგი მოსაუბრეები აღმოჩნდნენ – კომუნიკაბელურები, კულტურის ქომაგნი და მცოდნე-შემფასებელნიც.

ჩვენც არ დაგვიკლია სითბო და ყურადღება მათთვის. ვცდილობდით, ჩვენი კულტურა წარმოგვეჩინა სათანადოდ და დაგვეფასებინა იმათი. მსუბუქად პოლიტიკასაც შევეხეთ...

სტუმრები იმაში ნამდვილად დაგვეთანხმნენ, რომ ოსი ერი თავის კულტურას, ადათ-წესებს, ჩვეულებებს ქართულ გარემოში უფრო შეინარჩუნებდა, ვიდრე რუსებთან ერთად...

,,ქართველები და ოსები უფრო ვგავართ ერთმანეთს (თუნდაც, გარეგნობით), თუ რუსები და ოსები?" – რა თქმა უნდა, აქაც არ ყოფილა ორი აზრი. საერთო მტრის წინააღმდეგ რომ გვიომია ერთიანი ძალით და ახლაც ასე უნდა იყოს ჩვენი ერთობა, ამაშიც დაგვეთანხმნენ.

,,პატარა მდინარე ოკეანეში უფრო დაიკარგება, შთაინთქმება, ვიდრე დიდ მდინარეში" – იყო მათი პასუხი.

ნეტავ, ყველა ოსი მათსავით ფიქრობდეს და აზროვნებდეს!

# პოეზია

ზაურ ზაქანიშვილი

### ამ ღამეს ვუძღვნი

ვზი ჩუმად,
დავდივარ ჩუმად,
ჩუმად ვიცინი...
და ვყვირი ჩუმად...
ჩუმად ვწერ...
ვრითმავ ანის და ჰოეს...
მავანს ვგონივარ
არაფრის მქონე.
ვწერ ჩუმად...
ჩუმად...
და არა ვყვირი...
ველი დროს, როცა
სიჩუმე ჩემი
ზეცას ჩამოხევს
მრუმე ღრუბლების
იმ თალხ კაეშანს...
ვზი ჩუმად, რადგან
მწამს სიბრძნის:
ქალი იჯდეს და
ბედს ელოდესო...
ვიცინი ჩუმად,
რადგანაც ვიცი,
ჩუმი სიცილი
აწრთობს
სულს და გულს...
ვყვირი ჩუმად,
რადგან ხმა ჩემი
არავის ესმის...
ნაზ ყვავილებში
ვღიღინებ ჩუმად,
ისე ჩუმად, რომ
ღიღინს იწყებს
ლურჯი ღიღილოც...
ვქვითინებ ჩუმად,
ძლიერ ჩუმად –
დედის ყურს არ მიწვდეს
ხმა ქვითინისა!..

* * *

ვიდრე ვედრების
გაგიქრა განცდა, –
ევედრე უფალს
კრძალვით და მალვით...
ღვარე ცრემლები,
ნუ დაიღლები,
თქეში წვიმების
რიცხვების ათვლით.
უხმო სიმშვიდით
აიღე ხელში,
დადგი კუთხეში
ცრემლების სათლი,
არ განერიდო ამაოებას,
არ გაიტეხო
სიცოცხლის ნავსი,
დარდს არ მიანდო,
არ დაითალხო
ის ბედისწერა –
ბედკრულის მსგავსი!

***

მზე თავისი სხივებით,
მთვარე – მთვარის სონატა...
ოცნებები, ფიქრები
გამიტაცებს ცოტა ხანს...
მოგონებებს მოვუხმობ,
მრუმე დღეს რომ ანათებს...
ვხსნი ფიქრების სკივრიდან
გაუგზავნელ ბარათებს...
მზემ ღრუბლები დაფარა,
მთვარე მღერის "სონატას"...
ქარი ჰორიზონტს აფრქვევს
თავისსავე მონატანს.
ვხსნი შორეულ ფიქრთა სკივრს...
შემოდგომა იჩქარის...
ვუფრთხი გაცრეცილ სხივებს
და მონაბერს ცივ ქარის.
შემოდგომა შეცბა და
ზამთარს უხმო ადრიან...
ფეხშიშველა ფიქრები
შუკა-შარა დარბიან.
ილოშქრა და იჟანტა...
ითოვა და იჭყაპა...
ო, რა გრძნობით მღეროდა
ცხვრების მწყემსი, ის პაპა.
გაუმხელელ ფიქრების
სკივრს დავხურავ ხელახლა –
სიხარულის, ტკივილის, –
კვლავ რომ კრძალვით მეახლა.

### დილის ექსპრომტი

"რამ შემქმნა ადამიანად?" –
დღემ, ცეცხლოვანმა, მზიანმა
და ბნელმა ღამემ –
ინტიმით სავსემ,
მთვარე და ვარსკვლავიანმა...
დილის მთრთოლვარე
ცვარ-ნამმა,
სიომ, ქარ-ქარიშხლიანმა...
ზღვამ, ოკეანემ, მდინარემ,
ჩანჩქერებ-ტალღ-ქაფიანმა.
მთამ, მოფენილმა ნისლებით,
მბრწყინავმა,
თეთრთოვლიანმა...
უფალმა, სავსემ სიკეთით,
მართალმა და მადლიანმა!..

### ყოფა?!

რა ყოფაა? –
როცა ფიქრის გეშინია,
როცა ხედავ, რომ
მსოფლიო შეშლილია!..
ველარ არჩევ ცრუს და მართალს,
ჩარხი წუთი-სოფელისა
გამუდმებით ქსოვს და ართავს...
სანამ თავქვე დაეშვები,
სულის ნაწილებსა კარგავ...
რადგან ჩარხი კაცთა მოდგმის
ისევ სიცრუესა ქარგავს!..

* * *

ცოდვამ დაგვძლია,
დამძიმდა მიწა,
მივხვდით, არ ფასობს
სიცოცხლე გროშად,
შემოგვეხია
რწმენის სამოსი
და მომავალიც
ბინდბუნდში მოჩანს.
მედროვე,
თავის დაუნდობლობით,
უჩუმრად იპყრობს
ქვეყნის სადავეს,
დადუმებულა ბრძენი, ჭკვიანი,
შიშობს, სამყარო
მივა სადამდე?!
მიწას, ნაფერებს,
წუთისოფლისას,
ახალი ელდა
დაეცა ჩრდილად,
ცხოვრება ახალს
იკერავს სამოსს,
ურემი მიდის
თავის გზით მშვიდად...

### ადამიანო

გსურს, რომ გახვიდე
ბრბოს თამაშიდან,
აჩქარებულ დროს დაადო ვეტო,
ხელს უამრავი გამოგიწოდებს,
მაგრამ ვინ გეტყვის,
ვის უნდა ენდო?!
შენმა წამზომმა დაიწყო ათვლა,
ოცნების კოშკსაც გადააბიჯე,
გსურს, რომ სიკვდილი ჰგავდეს
მზის ჩასვლას
და სიცოცხლისკენ
სავალ ნაბიჯებს...

***

ცის კიდობნიდან
გულსავსე მთვარემ
ჩამოირბინა
ღრუბელთა კიბე,
როცა ჩემს სარკმელს
მოაყურადა,
გულის გადახსნის
სურვილი ვიგრძენ...
მაგრამ ვაცადე,
იდევნებოდა
ირგვლივ ავსული
და მისი სხივით,
ნატერფალ ჩრდილით
თვალდავსილივით
სჭვრეტდა წარსული...

* * *

აღუვსებელი საწყაულის
ბზარები მაკრთობს,
წუთისოფელი მეჩვენება
ზოგჯერ ცაცია,
ამაოებას დავარქმევდი
ცხოვრების საზომს,
სიცოცხლე ვისთვის
ტვირთია და
ვისთვის განძია!

ნუნუ ცაბაცაძე

### ვნატრობ

მომენატრა და შემოვაბრუნე
ბავშვი, რომელიც ჩემგან
გარბოდა,
ვერ აიხდინა, დარჩა სურვილად –
ბაზალეთის ტბის ფსკერზე
ჩაწვდომა.
ვნატრობ, თუმც, ვიცი, არ
დაბრუნდება
ჩემი ბავშვობის მოკლე ბილიკი,
სამოცდაცამეტ მკათათვეს
ვითვლი
და აღარ მათბობს ცხელი ივლისი.

### კვირაცხოველი

შიგ ქართლის გულში,
ძირძველ მიწაზე,
ჟამთა გათელილ ტაძრის ფუძეზე,
როცა ღრეობდა მგზავრი მავანი
და დუმდა უღვთოდ მოკლული
ღმერთი,
საკუთარ პეშვით და რწმენის
გეშით,
ააღორძინეთ სავანე უფლის...
ღაღადებს ფუძე ქვის გრძნეულ
ზღაპრით,
ცად აზიდული შარავანდედით!
სურამს ორბები აფრინდებიან,
აიჭრებიან ზეცის თაღებში
და ნაპარტახალ ქართლის მიწაზე,
ღვთიურ მოძღვართა
ლოცვა-კურთხევით,
კვირაცხოვლობის დიდ
სამრეკლოში
აგუგუნდება რწმენის ზარები...
და უნაბისფერ სანთლის რიალში
გამთელდებიან სულის ბზარები.
ხუროთმოძღვარნო, თქვენ,
ხანძთელობით,
ღმერთთან მისასვლელ გზას
დაადექით
და ვინც დალარეთ ნათლის
სვეტები,
ბჭენი რწმენისა რადგან ააგეთ,
საუკუნეთა უკვდავ ქმნილებით
მარადისობა დაგისაკუთრებთ!..

# მწერლის მონოლოგი

**დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და... „მწერლები!“**

ქვიშხეთში, დ. ყიფიანის სახლის მოზრდილ ეზოში გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან წლების მანძილზე, (90-იანი წლებისჩათვლით) მაისიდან სექტემბრის ბოლომდე, მწერალთა დასასვენებელ სახლად წოდებულ კოტეჯებში მწერლები ოჯახებთან ერთად ისვენებდნენ ხოლმე. ამ დასვენებაში მხარ-თეძოზე წოლას არ ვგულისხმობ! ეს იყო შემოქმედებითად ნაყოფიერი, ამასთან, დ. ყიფიანის მიმართ უზარმაზარი პატივისცემის ნიშნად, ეზოს გადასწვრივ პატარა, კოხტა საყდრის წინ პირჯვრის გადაწერის ყოველდღიური რიტუალიც!

მწერლების გარდა, ქვიშხეთის სახლს ეტანებოდნენ ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლებიც... თუნდაც, ვერიკო ანჯაფარიძის სახელი რად ღირს! იგი განაპირა კოტეჯის ფანჯრიდან ნაღვლიანად გასცქეროდა ხოლმე საყდარს, რომელშიც მან და შალვა ამირეჯიბმა ჯვარი დაიწერეს, თუმცა, საბჭოურ-პოლიტიკური ,,წესის'' შედეგად, შ. ამირეჯიბის გადასახლებამ მათი გზები სამუდამოდ გაყარა. ამ სახლში დამსვენებელი ყველა მწერალი თუ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე რომ ჩამოვთვალო, არც დრო მეყოფა, არც ფურცლები, მაგრამ ზოგიერთის სახელს მაინც გავიხსენებ:

**დემნა შენგელაია, ნიკა აგიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, ნოდარ დუმბაძე, ნოდარ წულეისკირი, გურამ დოჩანაშვილი, ვახტანგ ჯავახაზე, ოთარ ნოდია, ბონდო არველაძე, იზა ორჯონიკიძე, ზაურ და გენო კალანდიები, ლერი ალიმონაკი, გურამ ბარნოვი, დავით წერედიანი, ჯემალ ქარჩხაძე, ვანო ჩხიკვაძე, ლიტერატურათმცოდნე ციალა ჩხეიძე, თემურ ჩხეიძის ოჯახი, მაკა ჯოხაზე, გივი შაჰნაზარი, ცნობილი მსახიობი მედეა ბიბილეიშვილი, შარლოტა კვანტალიანი, რეზო კვერენჩხილაძე...**

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მესვეურები – პოეტები კლარა და გივი გელაშვილები თავდაუზოგავად ცდილობენ გარკვეული მნიშვნელობა მაინც შეუნარჩუნონ ამ, მართლა, დიდებული კაცის სახლსა და სახელს! არადა, ეს დასასვენებელი სახლი ისტორიულია თუნდაც იმით, რომ სწორედ აქედან წაიყვანა ე. წ. კგბ-მ მიხეილ ჯავახიშვილი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოსაყვანად!

ეს სახლი, ეზო-მიდამო, რომელიც შემოქმედებითი ჰაერით იყო დამუხტული, დღეს საქართველოდან მოკვეთილი კუთხეებივით გამოიყურება, რადგან, გალაკტიონისა არ იყოს ,,სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!'' თუმცა, მწერლების ხმა ჩაჩუმებულია! აქვე გავიხსენებ კვლავ გალაკტიონ ტაბიძის ძალზე მნიშვნელოვან, იქედნურ, მაგრამ მარად თანამედროვე სტრიქონებს: ,,რა არის მასზე მავნებელი, როცა ტეტია, მშვენიერების შემფასებელი და... ესთეტია!" (როგორ ჰგავს ,,ესთეტი“ ჯაყოს დახასიათებას, არა?) მაგრამ ჯაყო რომ მხოლოდ ოსური ბუნების მოვლენა იყოს, რამდენიმე ქულა მაინც დააკლდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის ამ შედევრს! **სამწუხაროდ, დღესაც მრავალი ჯაყო გვყავს და, მათ შორის, ქართველი ჯაყოების რიცხვი, ერთობ დიდია!**

**,,...ჯაყოს მზაკვრობამ ამოავსო სული ნაფაზით,**
**ჯაყოს ბნელ ზრახვებს სულ სხვა ჯურის სახეც მალავდა...**
**რას დაგვაკლებდა ოსი, რუსი, ანდა აფხაზი,**
**ქართველ ჯაყოებს ქართვლისთვის რომ არ ეღალატათ!“ (მ. ხ.)**

დღევანდელი ე.წ. მწერალთა კავშირი, კარგა ხანია, გულგრილად და შორიდან ,,ისრუტავს“ ნამდვილ მწერალთა ქვიშხეთურ ჟანგბადს! რამდენი იბრძოლეს რევაზ კვერენჩხილაძემ, შარლოტა კვანტალიანმა, (ნაწილობრივ, მეც) მაგრამ უშედეგოდ! მწერალთა კავშირის მესვეურებს საკუთარი აგარაკები აქვთ მთასა თუ ზღვისპირეთში! (ვითომ ,,მოკრძალებული“ ხელფასით შეძენილი?) ამდენად, მათთვის ,,საქვიშხეთო ბრძოლა“ ზედმეტი ტვირთია და, სავარაუდოდ, არც ვაჟა ფშაველას სტრიქონები ახსოვთ:

**„ვისაც რომ სამშობლო უყვარს, მისთვის სიცოცხლე-ომია!''**

დიახ, ომია საჭირო ყოველდღიურ მომხვეჭელობასთან, გრაფომანების მწერლებად მომნათვლელებთან, თაღლითური გეგმით საბუთების გამყალბებლებთან, რომლებიც ისე ,,ოსტატურად''ახერხებენ ამას, რომ აქ მხოლოდ უფრო ნიჭიერი თაღლითი თუ აღმოაჩენს სიყალბეს!

დ. ყიფიანის სახლის ქვედა ტერიტორიის ნაწილში განთავსებულია ფეშენებლური კურორტ-სასტუმრო, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, უპრეტენზიულესი სახელწოდება აქვს: ,,მწერლები!'' მსხმოიარე ხილით დახუნძლულ მწერალთა დასასვენებელი სახლის ეს ნაწილიც რომ მწერლებს ეკუთვნოდა, სასტუმროს მფლობელებს არ დავიწყებიათ! მაგრამ იქ რომ ოდესღაც შედევრები იქმნებოდა, დავიწყებულია, რადგან დღევანდელი მართლა მწერალი თავისი გაძვალტყავებული შემოსავლიდან ამ დიდებულ სასტუმროში მხოლოდ 2-3 წუთით შეძლებს დასვენებას, რადგან ერთი დღე-ღამის საფასური აქ... მწერლისთვის არც მთლად სახარბიელო თანხიდან იწყება!

30 ივლისს კი დიდი პატივი მერგო, რადგან ჩემი შემოქმედებით დაინტერესებულ ხაშურის საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა, ორი საათის და არა ორი წუთის მანძილზე დამტკბარიყო სასტუმროს ხედითაც და პოეზიის ხედვითაც, ეკა ბაქრაძის დიდი მცდელობით. ეკა ბაქრაძე ფესტივალებზე გამარჯვებული საბავშვო თეატრის ,,აკვარიუმის“ დამაარსებელი და რეჟისორი, ამასთან, გაზეთ ,,ლიტერატურული ხაშურის'' რედაქტორი და არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტის ორგანიზატორი გახლავთ ხაშურში. მშვენიერი ლექსების პარალელურად ბრწყინვალედ თარგმნის არა მხოლოდ ანა ახმატოვას. თუმცა, დღეს მართლა მოღვაწე ადამიანებს საქართველო თითქმის არ იცნობს, რადგან ე. წ. წამყვან ტელევიზიებს, ხშირ შემთხვევებში, ტაკიმასხრობა და ზედაპირული შემოქმედება ხიბლავთ... თუნდაც ასეთი სტრიქონების გენიალურობად აღიარება: ,,მე შენში მიყვარს ღმერთი, შენ რა იპოვე ჩემში!'' სად არის აქ, მართლაც და, გენიალური, ან თუნდაც დახვეწილი რითმა? (ავტორს შეგნებულად არ ვასახელებ).

თუმცა, არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ახლადდაფუძნებული ,,ქართული არხის" შემოქმედებით ჯგუფს, განსაკუთრებით, არხის სამხატვრო ხელმძღვანელს, კომპოზიტორსა და შემსრულებელს ქ-ნ მანანა იმედაძეს, რომელიც ,,მწერლებში" გამართულ ჩემს შემოქმედებით საღამოზე თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა.

პოეტმა და ქველმოქმედების უნარით დაჯილდოებულმა ქალბატონმა ხათუნა გელაშვილმა, რომელთანაც, ერთდროულად, საქმიანი და შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს, მისთვის ჩვეულ ამპლუას არ უღალატა და საღამოს დაფინანსებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. ხათუნა ხაშურის მკვიდრია და წელს დეპუტატობაზე იყრის კენჭს, ასევე, წვლილი შეიტანა ამ საღამოს დაფინანსებაში აწ განსვენებული ცხრამუხელი მოღვაწე კაცის პავლე ლაცაბიძის ოჯახმა და თავად ხაშურის ინტელიგენციამ. უღრმესი მადლობა მათ.

პირველად შედგა მწერლის საღამო ,,მწერლებად" წოდებულ სასტუმროში. ვინძლო, ეს ფაქტი ტრადიციად დამკვიდრდეს და, გარკვეული შეღავათების გათვალისწინებით, მომავალშიც შესაძლებელი გახდეს ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ხაშურელი ინტელიგენციის შეხვედრები.

ხაშურს გემოვნებიანი მკითხველ-მსმენელი რომ ჰყავს, არახალია, რაც იგრძნობოდა დამსწრე საზოგადოების მხრიდან. კიდევ ერთხელ პატივისცემით მოვიხსენიებ ამერ-იმერის გზაჯვარედინთან არსებულ დიდებული ხაშურის დიდებულ ინტელიგენციას! სახსოვრად კი მინდა შემოგთავაზოთ ლექსად წოდებული გულის ტკივილი ჩემი პაწაწინა წიგნიდან, რომელსაც ,,სავიზიტო ბარათი'' დავარქვი:

**„გაქრა ის, რაც იყო, ქრება ის, რაც არის,**
**სულს უჭირს ეჭვების ზიდვა...**
**მკითხველი არ არის, არ არის, არ არის!**
**მწერალი? – რამდენიც გინდა!**

**მზია ხეთაგური – მწერალი,**
**საზოგადო მოღვაწე.**

რედაქტორი ეკა ბაქრაძე